გარდაიცვალა თვალსაჩონო მეცნიერი, უმაღლესი განათლების ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (ემერიტუსი) **გურამ ყუფუნია.**

გურამ ყუფუნია დაიბადა 1936 წლის 31 მაისს, მარტვილის რაიონის ს. ტალერში.

1954 წელს დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა. 1954-1959 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლიც წარჩინებით დაამთავრა. 1961 1964 წლებში იყო საქარველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი. 1974 წელს გაიარა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის

უმაღლესი ეკონომიკური კურსები.

1974 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1977 წელს - უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო წოდება.

1959-1961 წ.წ. მუშაობდა თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმში, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებელად. 1964 - 2006 წწ. იყო ეკონომიკის, დაგეგმვისა და სოციალური პრობლემების ს კ ი უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. 2011-2015 წწ. - მოწვეული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორად. 2016 წლიდან მიენიჭა ამავე უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის წოდება.

იგი შეთავსებით პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადა-

სხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1966-1977 წ.წ. - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში იყო პოლიტიკური ეკონომიის ლექტორი, 2000-2010 წ.წ. - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (თეუსი) - პროფესორი, 2002-2008 წ.წ. - თბილისის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი და რექტორი.

1976-1977 წ.წ. ასევე შეთავსებით მუშაობდა ჟურნალ "ეკონომისტის" განყოფილების გამგედ; 1995-2006 წ.წ. - ქართული ენციკლოპედიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების გამგედ; მთავარი სამეცნიერო რედაქციის წევრად.

სხვასდასხვა წლებში მიწვეული იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისის თავმჯდომარედ რიგ უმაღლეს სასწავლებელში. იყო საკანდიდატო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხების 20-ზე მეტი მაძიებლის სამეცნიერო ხალმძღვანელი.

იყო 200-ზე მეტი მეცნიერული, მ. შ. 120-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი.

გურამ ყუფუნია 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონი გურამი იყო უაღრესად ერუდირებული, საქმისადმო უდიდესი პასუხიმგებლობით აჭურვილი, ახალგაზრდობისადმი თავდადებული, უაღრესად გულისხმიერი, მეგობრული, ამავე დროს, პრინციპული ადამიანი, მხურვალე პატრიოტი.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, ახლობლების, ახალგაზრდობის გულში.

რ. აბესაძე, ა. აბრალავა, თ. ბაბუნაშვილი, ე. ბარათაშვილი, რ. ბასარია, მ. გველესიანი, რ. გოგოხია. დ. დავითულიანი, ვ. დათაშვილი, რ. კაკულია, დ. კვარაცხელია, ი. კვესელავა, პ. კოღუაშვილი, პ. ლემონჯავა, გ. მალაშხია, ე. მექვაბიშვილი, ს. სანაძე, ა. სიჭინავა, რ. შენგელია, გ.შუბლაძე, კ. ღურწკაია, ნ. ჭითანავა, კ. ხმალაძე,დ. ჩომახიძე, რ. ჯავახიშვილი.